ავტო ფარეხის დემონტაჟი

შემსრულებელი

არქიტექტორი – გ. მონიავა

ტექ. ეკონომიკური მონაცემები

. ტერიტორიის ფართი - 2558.0 მ^2

. განაშენიანების ფართი - 244.0 მ^2

. სასაწყობე ფართი - 244 მ^2

. სართულიანობა - 1

. სამშენებლო მოცილობა - 1171.3 მ^3

მათ შორის:

. 0.00 ნიშნულს ზევით - 1024.9 მ^3

. 0.00 ნიშ ულს ქვევით - 146.4 მ^3

. კონსტრუქციული სიმაღლე - 4.8 მ.

მათ შორის:

. 0.00 ნიშნულს ზევით - 4.20 მ.

. 0.00 ნიშნულს ქვევით - 0.60 მ.

. შპს "ემ არქი"

. მისამართი – ქ. თბილისი, ხომლელის ქ. VII კორპ. ბ. 97

. ტელეფონი – (+995 511 18 33 77)

. დირექტორი – მარიამ ქავთარაძე

განმარტებითი ბარათი

სადემონტაჟო შენობა მდებარეობს ქ. თბილისი, იუნკერ შალვა ერისთავის I ჩიხი №3 (ს.კ. 01.13.02.001.111)

სადემონტაჟო შენობა აშენებულია 2000-იანი წლების დასაწყისში, შენობა 1 სართულიანია დახრილი გადახურვით. შენობაში განთავსებულია სასაწყობე მეურნეობა.

შენობის საძირკვლები მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის ლენტური საძირკვლებით. ძირითადი მზიდი კონსტრუქცია მოწყობილია ლითონის კონსტრუქციით. გადახურვის კონსტრუქციად გამოყენებულია ლითონის წამწეები, ხოლო გადახურვა შესრულებულია თუნუქის ფირფიტებით. შენობაში მოწყობილი ღიობი ლითონისაა, ორფრთიანი კარი, რომლის საშუალებითაც ხდება შენობაში შესვლა.

ზემოთხსენებული პრინციპითაა აშენებული ერთიანი მთლიანი შენობა, რომელიც საკადასტროზე გაყოფილია ორ შენობათ. შენობების კონსტრუქცია საერთოა, ასევე საერთოა გადახურვა, საძირკვლები, სარტყელი და შემავსებელი კედლები. ამიტომაც ნახაზებში წარმოდგენილია ორივე შენობის ერთიანი ნახაზები და დემონტაჟის პროექტი.

შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:

-ნახაზი მო-1 ----“სამშენებლო გენგეგმა”;
-ნახაზი მო-2 ----“სამონტაჟო სქემა”

ა/ განმარტებითი ბარათი

განლაგებულია სადემონტაჟო

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და “საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 თავი №20-ის თანახმად.

სამშენებლო ტერიტორიაზე /ქ. თბილისი, იუნკერ შალვა ერისთავის I ჩიხი №3, განლაგებულია სადემონტაჟო ერთსართულიანი სასაწყობე შენობა. შენობა აშენებულია შერეული კონსტრუქციებისაგან. 0.00=441.38 მ.

წინამდებარე პროექტში განხილულია შენობის სადემონტაჟო სამუშაოების პირობები და მეთოდები.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--ტერიტორიის ფართი---------- 2558.00 მ^2;
--საერთო ფართი---------- 244.00 მ^2;
--სართულიანობა---------- 1.00;
--კონსტრუქციის სიმაღლე---------- 5.30 მ.

2. ვინაიდან მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად, ხანგრძლივობა პირობითად მიღებულია -2.0 თვე სადემონტაჟო სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე.

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:
--უცხო ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან;

--გარე და შიგა ქსელების გამორთვა /არსებობის შემთხვევაში/;
--სახურავიდან საჰაერო ქსელების მოხსნა /არსებობის შემთხვევაში/;

3. სამშენებლო ორგანიზაცია ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით.

სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული დემონტირებული კონსტრუქციების გადატანა ტერიტორიიდან. უნდა მოხდეს ყველა მუშის სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით, კიბეებით, ჩაფხუტებით.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

დემონტაჟის თანმიმდევრობა:

ჯერ: უნდა მოხდეს გადახურვის ფურცლების დემონტაჟი, ხის კონსტრუქციის, ნივნივებისა და კოჭების დემონტაჟი.

შემდეგ: ბეტონის სარტყელის დემონტაჟი, ღიობებისა და კედლების დემონტაჟი.

შემდეგ: საძირკვლების დემონტაჟი.

ანაკრები ელემენტების დემონტაჟის დროს აუცილებლად გათვალისწინდეს:

-სამონტაჟო ლითონის კიბეების დაყენება მუშებისათვის / კონსტრუქციების მიმაგრების ადგილებთან /;

-ანაკრები კონსტრუქციების შორის ნაკერების და კვანძების გახსნა დროებითი გამაგრების გათვალისწინებით;

-ანაკრები კონსტრუქციების სამონტაჟო ყულფების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობა;

-დემონტირებული კონსტრუქციების გადმოტანა და დალაგება სპეციალურ მოედანზე;

-ტრავერსების გამოყენება და მათი პარამეტრების გათვალისწინება ამწის შერჩევის დროს.

აკრძალულია: ორი კონსტრუქციის ერთდროული დემონტაჟი!

საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სადემონტაჟო ელემენტების დროებითი გამაგრება.

KATO SL 650R -ის ტექნიკური დახასიათება

1. მაქსიმალური ტვირთამწეობა----------65.00ტნ
2. ისრის სიგრძე----------44.50მ
3. ბატიტელის სიგრძე----------8.30-13.20მ
4. მაქსიმალური აწევის სიმაღლე----------45.50მ
5. აწევის სიმაღლე ბატიტელით----------58.60მ
6. დახრის კუთხე----------7^0-60^0

ყურადღება!!! ექსკავატორის და დამატებითი მოწყობილობის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად ანალოგიურ მარკაზე.

ბ/ კალენდარული გეგმა T=2.0 თვე

N	სამუშაოს დასახელება	თვე	1 თვე						2 თვე					
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
	მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები													
1	მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება /იხილე განმარტებითი ბარათი/	15												
	სადემონტაჟო სამუშაოები													
1	--პირველი სართულის ფარგლებში გადახურვის სისტემის დემონტაჟი. --კონსტრუქციის რკინაბეტონის სარტყელის დემონტაჟი --გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის ამოღება.	45												
	საერთო სამუშაოები													
1	სამშენებლო ნაგვის გატანა	-												
2	სხვადასხვა სამუშაოები	-												

სადემონტაჟო სართულის გეგმა 0.00 ნიშნულზე მ 1:100



LOC

შ.პ.ს "სამშენებლო საბორატორია"
მის: ქ. თბილისი,
საბურთალოს ქ. №32
ტელ: 551 51 52 52

№	სახელწოდება	შართი

დამკვეთი:
შ.პ.ს. ვიქტორია სექიურითი

პროექტის სახელწოდება:
დემონტაჟის პროექტი

მისამართი:
ქ. თბილისი, იუნკერ შალვა ერისთავის I ჩიხი, №3
ს/კ 01.13.02.001.111

ბმარე	გ. ქავთარაძე						ბ. მენიაშვ	
ხელმოწერა								
დირექტორი							შესრულა	

დაკვეთა	
სტადია	პრ
შეთელი	
შეთლები	
მასშტაბი	1:100
თარიღი	02/12/2025